— პარადში კი ვმონაწილეობდი მაგრამ, როგორც ეზმანი ვარ, ვნახე იგი, — აღიარა შემდეგ ეფრეიტორმა.

— ღელადიან?

— რასაკვირველია. ასეთი ტექნიკა ამჩენთ და ისიც წითელ მოედანზე...

სადღესასწაულო პარადზე სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების იარაღის ჩვენების დიდი პატივი ეწილად ხვდა მსოფლიო საკავშირო მეომრებს. მესამე წელია, რაც ლევ ბოგატირიოვი მშობლიურ ტულას დაეშვებოდა და ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა. ახლა იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულია, მეორე კლასის სპეციალისტია. მასთან ერთად საპარადო ჯაჭვიანში ნოსკოლოს ჩქილინი და ეფრეიტორი ალადიმერ გორბუნოვი ალადიმირის ოლქიდან. ისინიც კომკავშირელები, გვარდიელები არიან.

მათი ქვეგანაყოფის ცხოვრებაში უნინშვნელოვანესი მოვლენაა რაკეტების პრაქტიკული გაშვება. ყველა ოპერაცია ზუსტად ადადგენილ უნდა შესრულდეს, როგორც ნაწილში ამბობენ ხოლმე, „მაღალხარისხოვნად“. ეს მთავარია, რაზეც დამოკიდებულია რაკეტის ზუსტი და სასიმედო ფრენა.

თითეული მეომარს თავისი მოვალეობა აკისრია. ამ მარჯვე, მკვირცხლი ჯარისკაცების — ბოგატირიოვის, ჩქილინის, გორბუნოვის მიმართ მეთაურებს პრეტენზიები არა აქვთ.

ბევრი კარგი რამ შეიძლება ითქვათ აგრეთვე სხვებზეც. მაგალითად, თუ როგორ ამოქმედდებს სერგანტი ვასილ ფეენი, ანაზე პირდაპირ დამოკიდებულია სროლის სიზუსტე. სერგანტს მიუღია გაშვებაში მონაწილეობა, რაკეტა ზუსტად მიზანში მოხვდა, შეფასება უმაღლესი იყო.

ამ კიდევ ერთი მერაკეტე ალადიმერ ეფიმოვი ლეიტენანტი ვალენტინ ბელიაევი. მაიორი მას ახასიათებს, როგორც წარჩინებული ქვეგანაყოფის მეთაურს.

— რას ნიშნავს ეს?

— უწინარეს ყოვლისა — ეს ნიშნავს იმას, რომ მისი ქვეგანაყოფის მეომრებს არც ერთი შენიშვნა არა აქვთ სამსაფეხურში. თვითონ ოფიცერი პირველი კლასის სპეციალისტია და კარგად იცნობს ყველა პროცესს, რომლებიც რაკეტამდე ხდება. როდესაც რაკეტას ანაბეჭრებენ ამზადებენ, უფროსი ლეიტენანტი ასწრებს ჯარისკაცებისა და სერგანტების მოქმედების შემოწმებას, აგრეთვე სპეციალი მოკალეობის შერჩევებას — ეგი ხომ საბრძოლო ჯაჭვიანის ერთ-ერთი ნომერია...

* * *

— მერაკეტეთა ყოველდღიური მუშაობა ეს არის ბეჯითი მხედრული შრომა. ამბობს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მოპატარსაყდლეს პირველი მოკაბილე გენერალ-კოლკოვნიკი. ფ. ტოლუბკო.

ძირითადად შესრულებულია ამოცანები, რომლებიც თავდაცვის მინისტრმა ჩვენს ნაწილებს დაუსახა 1966 წლისათვის. ჯარზარდა სარაკეტო ქვეგანაყოფთა საბრძოლო მზადყოფნა, ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა ჯარისკაცების, სერჟანტების, ოფიცრების ოსტატობა. ახლა ბევრ სარაკეტო ნაწილში თხუთმეტ ყოველი მეორე წარჩინებულია, ყოველი მესამე კლასის სპეციალისტია. ჩვენი ოქრის ფონდია ოფიცრები. ჯანსაკუთრებით გვახარებს ეგთი წარმატებანი: თუ შარშან „კარგზე“ და „ფრიადზე“ ფასდებოდა ოფიცერთა 75 პროცენტის მომზადება, ახლა კი რიცხვი 80 პროცენტამდე აიიზარდა. ამიტომ რაკეტების პრაქტიკული გაშვების დროს საუკეთესო და კარგი შედეგები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

— რეზორია დღეს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების საბრძოლო მაჩვენებლები?

— სტრატეგიული რაკეტულ-ატომური იარაღი, რომელსაც ბარისხორციად ახალი საბრძოლო თვისებები და შესაძლებლობები აქვს, ბევრად აჯობს შეიარაღებული ბრძოლის წარმოების ყოველ სხვა საშუალებას. საბჭოთა სტრატეგიულ რაკეტებს შეუძლიათ დიდი სიზუსტით მიტანონ მუტები დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რაც სიმძლავრით ბევრად აღემატება ყოველივე იმას, რასაც წარსულ ომებში იყენებდნენ. ჩვენ გლობალური რაკეტების აქვთ ფრენის უსაზღვრო სიშორე, შეუძლიათ დაბანონ სამიზნე ყოველი მიმართულებისაგან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შექმნილი სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები საბჭოთა შეიარაღებული ძალების მთავარი სახეობაა, მათი ურყევი ძალის საფუძველია.

ჩვენი სტრატეგიული რაკეტების გასაშვები დანადგარები და ოვით რაკეტები გამოირჩევიან დიდი სიმიდრობით, შეუძლიათ იმოქმედონ ყოველ პირობებში, ყოველ დროს. მათი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ მუდამ მზად არიან საბრძოლო გამოყენებისათვის.

ბუნებრივია, რომ რაკეტულ-ატომური იარაღი განუწყვეტლივ უმჯობესდება, სულ უფრო იზრდება სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების დამკვრელი ძალა.

— რაზეორია საკონტინენტთაშორისო რაკეტებზე ბასაშვები ბაზა?

— ეს არის ატომური თავდასხმისაგან კარგად დაცული ავტონომიური რაკეტული კომპლექსი. იგი შედგება საიმედოდ დაცული რაკეტიანი გასაშვები დანადგარებისაგან. ავტომატიზაციის მაღალი დონის გამო რაკეტების მომზადებასა და გაშვებას ძალზე ცოტა დრო სჭირდება, რაღაც წამები. რაკეტების ბუდმივ მზობას უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა შეზღუდული რაოდენობა.

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები შეიარაღებული არიან აგრეთვე მცირეგაბარიტიანი ბალისტიკურ რაკეტებით, რომლებსაც აქვთ მოქმედების როგორც საშუალო, ისე საკონტინენტთაშორისო რადიუსის თვითმფრინავი გასაშვები დანადგარები. მათი შექმნა ჩვენი მეცნიერების, ინჟინრების, მუშების თვალსაჩინო მიღწევაა. ასეთი რაკეტები მიუხელთებელია საჰაერო და კოსმოსური დაზვერვისათვის; ამასთანავე ისინი მუდამ მზად არიან გამანადგურებელი ატომური დარტყმა აგემონ აგრესორს.

— რა ტიპის რაკეტებით არის შეიარაღებული საბჭოთა არმია?

— სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები აღჭურვილი არიან იარაღით, რომელსაც აქვს პრაქტიკულად განუსაზღვრელი სიშორე, უდიდესი საცეცხლე ძალა, ტექნიკური სრულყოფა, დიდი საიმედობა, სიზუსტე, მაღალი საბრძოლო მზაობა დაუყოვნებლივი მოქმედებისათვის.

საბჭოთა სახმელეთო ჯარები აღჭურვილი არიან ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტებით, რომელთა მოქმედების სიშორე განისაზღვრება მრავალი ასეული კილომეტრით. მათი საშუალებით, მისაწვდომობია ფარგლებში, შეიძლება ძალზე ზუსტად დაგაზიანოთ ყოველნაირი მიზანი ატომური საომარი მასალით. მთელი რიგი დიდნიშვნელოვანი მაჩვენებლებით ეს რაკეტები ხასიათდებიან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა არმიების ასეთი დანიშნულების რაკეტებს. ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო ჯარები ახლა სახმელეთო ჯარების მთავარი საცეცხლე ძალაა.

ჩვენი ქვეყნის ხალხერო თავდაცვის ჯარების საბრძოლო ძალის საფუძველს შეადგენენ საზენიტო სარაკეტო ჯარები და რაკეტმზიდი ავიაგამანადგურებელი ავიაცია. საზენიტო რაკეტებს ფრენის დროს დედამიწიდან მართავენ, რაც საშუალებას გვაძლევს რაკეტა ზუსტად დავუშვნოთ სამიზნეს და მოვსპოთ იგი. შორი მოქმედების რაკეტმზიდ დამბერ ავიაგამანადგურელებს შეუძლიათ მოსპონ მოწინააღმდეგის ყველანაირი თვითმფრინავი და ფრთიანი რაკეტები ფრენის ყოველგვარ სიმაღლეზე და სიჩქარის დროს.

სამხედრო-საჰაერო ძალებს, რომლებიც შეიარაღებული არიან „ჰაერი-დედამიწა“ და „ჰაერი-ჰაერი“ კლასების რაკეტებით, შეუძლიათ დაიზიანონ ყოველნაირი მიზანი როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში ან ჰაერში. ამასთანავე მოცემული ობიექტის საჰაერო თავდაცვის საშუალებათა მისაწვდომობის ზონაში შეუსაბამოდ. რაკეტმზიდი თვითმფრინავები, არსებითად, რაკეტების მოძრავი სასტარტო მოედნებია.

ახლა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ძალის საფუძველს შეადგენენ ატომური და ჩვეულებრივი მუზტიანი რაკეტებთან და ზორმავალი ტორპედოებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები.

მაშასადამე, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამჟამად რაკეტები საბჭოთა არმიის მთავარი დამკვრელი და საბრძოლო ძალაა.

— არის ფრთიანი და უფრთო რაკეტები, არსს ყუმბარა-თვითმფრინავები, რეიდ გასხსნაკვლევებისან ისინი ერთმანეთისაგან, რისთვის არსაა გათვალისწინებული?

— ფორმით, აეროდინამიკური სქემითა და კონსტრუქციული თავისებურებებით რაკეტები შეიძლება დაყოფილ ორ ჯგუფად: ბალისტიკური რაკეტები და ფრთიანი რაკეტები (მათ შორის ყუმბარა-თვითმფრინავები).

ბალისტიკური რაკეტა ეწოდება უფრთო ზორნიანი ავარატს, რომელიც, მიიღეს რა გარკვეული სიჩქარე, შემდეგ განაგრძობს თავისუფალ ფრენას ბალისტიკის კანონებით. სწორედ ასეთია ზეტ ნილი რაკეტები, რომელებსაც სადღესასწაულო პარადზე აჩვენებენ ხოლმე მოსკოველნი.

ფრთიანი რაკეტა ეს არის ზფრინავი აპარატი, რომელიც აგებულია. თვითმფრინავის სქემით, ასეთი აპარატი სტარტს იღებს დედამიწაზე წარმმართველი ბოლქმილების საშუალებით, ადის საჭირო სიმაღლეზე და ზიფრინავს, სანამ დაიწყებდეს სამიზნეზე პიკირებას. ფრთიანი რაკეტების სიჩქარე, როგორც წესი, ზნიშვნელოვნად აღემატება ბგერის სიჩქარეს.

ყუმბარა-თვითმფრინავები ეგვანან თვითმფრინავებს. მათ კეთებენ სტრატეგიული ან ტაქტიკური ბომბდამშენების ქვეშ და იყენებენ დედამიწაზე ან ზღვაში ისეთი ობიექტების წინააღმდეგ, რომელთა მისაგდებმებს იცავენ მძლავრი საჰაერო თავდაცვის საშუალებანი. ყუმბარა-თვითმფრინავი ჩვეულებრივი და თვითმართული საავიაციო ბომბისაგან განსხვავებით შეიძლება ჩაშოვაგდოთ მატარებელი თვითმფრინავიდან ბევრად ადრე, სანამ მიზანს მივუახლოვდებოდეთ. ჩამოგდების შემდეგ ყუმბარას ამწარად მართავენ, რომ მისი ფრენის ტრაექტორია [illegible] იცვლებოდეს გარკვეულად დროის მიხედვით. ეს მოწინააღმდეგეს უქმნის სიძნელეს დაცვითი იარაღის გამოყენებისათვის.

— რეზორი მართვის ტაქტიკურ [illegible] ?

— რაკეტის მართვა ზორციელდება [illegible] მთელი ტრაექტორიის ან მისი [illegible] ნაწილის მანძილზე მოქმედების [illegible] მიხედვით. მართვის სისტემა იყოფა [illegible] რითად ჯგუფად: ტელემართვა, ავტონომიური სისტემები და თვითდამიზნების [illegible] (შეიძლება აგრეთვე ამ ჯგუფების [illegible] ცია).

ტელემართვა, ესე იგი მანძილზე [illegible] წარმოებს რადიოლოკაციური სადგურ[illegible] ვით მიზანში რაკეტების დამიზნებისა [illegible] რაკეტის ბორტზე რადიოკომანდის დ[illegible] ან რადიოსადაგებაციის საშუალებით. [illegible] შემთხვევაში რაკეტა მიფრინავს [illegible] თანმხლებ რადიოსალოკაციონ სადგურ[illegible] ზრო სხივში, რომელიც ამასთანავე [illegible] თვალთვალო და მართვის სადგური. ამ[illegible] რა რაკეტას სამზეოდან არ ანლეგ[illegible] დეს სხივის კონუსიდან და ამით ან[illegible] მას მიზანში.

რადიოსანაგებაციო სისტემა საშუალ[illegible] გვაძლევს რაკეტა ვმართოთ მანძილზე, [illegible] თან იგი მიზანს დაეგმიზნოთ გათვალ[illegible] ული პროგრამის შესაბამისად საჭირო მ[illegible] თულებით განლაგებული რადიოსანაგ[illegible] სადგურების სიგნალებით.

ავტონომიური სისტემა ფრენის [illegible] უზრუნველყოფს თვით რაკეტამდე განლაგ[illegible] ლი სპეციალური ხელსაწყოების საშუ[illegible] ბით. ამასთანავე გამორიცხულია დედ[illegible] დან რაკეტის ფრენაზე ზემოქმედება. [illegible] ტის ფრენის ტრაექტორია განისაზღ[illegible] სპეციალური პროგრამით სტარტზე.

რაც შეეხება თვითდამიზნების სისტ[illegible] მის საფუძველს შეადგენს მგრძნობიარე [illegible] მენტები, რომლებიც რეაგირებას [illegible] მიზნის რაიმე გამოსხივებაზე — ინფ[illegible] ლი, სითბური, სინათლის, რადიოსხ[illegible] რაკეტის წინა ნაწილში მოთავსებული [illegible] მგრძნობიარე ელემენტი რაკეტას [illegible] შეხვედეს სამიზნეს.

რაკეტის მართვის ორგანოები [illegible] ბა სხვადასხვა აეროდინამიკური და [illegible] ნამიკური მოწყობილობა. გარდა ამისა, [illegible] ძრათობის მიმართულების შეცვლა [illegible] პატარა ძრავების საშუალებით, [illegible] სპეციალურად ამისათვის დადგმული [illegible] ტებზე.

* * *

საბჭოთა არმიის დიდებით მოსილ[illegible] ლებისა და შენაერთების ბანაზე შეეწინ[illegible] რაკეტო ჯარები წმიდად ინახავენ და [illegible] ლენენ შეიარაღებული ძალების [illegible] ტრადიციებს. მერაკეტე მეომრები [illegible] გუშაგზე დგანან, მათი პოზიციები [illegible] სამმოლოს თავდაცვის წინა ხაზია. [illegible] რა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან შრომას, [illegible] თა და ღამით ისინი ჯანეულ[illegible] საბრძოლო მორიგეობას.

ა. მედვედევი

საკადესის კ[illegible]

მეგოგზროგისა და ქმოგის მიფინგი

(დასასრული)

ბულგარეთის ამ ახალ სახეს, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს თქვენს ხალხში. და იგი ამის ღირსია. სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარეთის მუშათა კლასმა უდიდესი წვლილი შეიტანა ბულგარეთის ინდუსტრიალიზაციაში, სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში, ახალი ქალაქებისა და სოფლების მშენებლობაში, კულტურასა და ხალხის ცხოვრების ბევრ სხვა დარგში.

არ შეიძლება აგრეთვე არ შევნიშნოთ, რომ ბულგარეთში მუშათა საუკეთესო კოლექტივებს ბძანვენ ქალაქისა და სოფლის შრომელები თავიანთი მუშაობის დროს. და ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ, რომ თქვენი შესანიშნავი კოლექტივი ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე მაგალითია ბულგარეთის მრავალი ასეული და ათასეული საწარმოს, თუ მშენებლობისათვის.

მე წლად მხვდა ბედნიერება გსტუმრებოდით ორი წლის წინათ. მაშინ კომბინატი ისინის იყო დგებოდა მწყობრში. ახლა იგი ძნელი საცნობია, იმდენად გაიზარდა. წარმომიდგენია, როგორ გიგანტად გადაიქცევა იგი, როცა ამუშავდება ახალი სიმძლავრენი, როგორც ეს გათვალისწინებულია IX ყრილობის დირექტივებით, როცა ამოქმედდება მესამე ბრძმედი, მთელი საკონვერტორო ხაამქრო, ცხელი და ცივი გლინვის დგანები, მოლსაგლინავი დგანი და სხვა ობიექტები.

სხვისა არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის, ყოფილი მეტალურგისათვის, ნამდვილი ბოეზია დავათვალიერო თქვენი კომბინატი, ყური მიეგდო როგორ გუგუნებს ბრძმედი, დავინახო როგორ მოდინება ლითონი. და როცა თვალს ვავლებ თქვენი გიგანტური მშენებლობის მთელ პანორამას, გული სიამაყით მევსება. წინათ ხომ ბულგარეთს არ ჰქონია საკუთარი მეტალურგია. მრეწველობას არ ჰქონდა თავისი „პური არსობისა“. დღეს კი თქვენ უკვე სოლიდური ბაზა გაქვთ: თქვენი მეტალურგიული მრეწველობის პირმშოსთან — ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხანასთან ერთად ბულგარეთს აქვს უზარმაზარი მეტალურგიული კომბინატი, რომლის პროდუქცია 1970 წლისათვის მილიონობით ტონა ლითონით აღირიცხება.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგო მეტალურგებო, თქვენს ყირილობაზე სკკპ დელეგაციის სახელით მოგილოცოთ შესანიშნავი წარმატებანი, რომლებსაც კომბინატმა მიაღწია, და სულით და გულით ვუსურვო თქვენს კოლექტივს, ბულგარეთის ყველა მეტალურგს ახალი დიდი გამარჯვებანი თქვენი შესანიშნავი ნამშობლოს სასახელოდ.

ბულგარეთის ყველა გულწრფელ მეგობარს ახარებს აგრეთვე თქვენი სოფლის მეურნეობის მიღწევები, რომელიც დაჩაგრული და პრიმიტიული მეურნეობიდან, როგორიც ოყო, გადაიქცა დიდად მექანიზებულ სოციალისტურ მეურნეობად. ეს თქვენი ხალხის დიდი და უაღრესად მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

თქვენი სოფლის მეურნეობა ჭეშმარიტად შესანიშნავ შედეგებს აღწევს. წელს ჰექტარზე საშუალოდ 28 ცენტნერი ხორბალი მოგიყვანია, რაც სოფლის მშრომელთა დიდი და დამსახურებული წარმატებაა.

ყირილობაზე დამაჯერებლად ითქვა, თუ რა შესანიშნავი მიღწევები მოიპოვა ბულგარელმა ხალხმა განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების განვითარებაში.

თქვენი მიღწევები და თქვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, რომლებიც დასახულია ბულგარეთის კომპარტიის IX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ახარებენ და აღაფრთოვანებენ ბულგარეთის ყველა მეგობარს

საერთაშორისო ცხოვრება

გულითადი შეხვედრები ავსტრიაში

ვინ, 16 ნოემბერი. (საკ-ესი). დღეს ავსტრიის გემთსაშენებელი ...ოვნების უდიდეს ცენტრ კორნი-...ურგში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღ-...ესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომა-...ე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც სახელმ-...ფო ვიზიტად იმყოფება ავსტრიაში. ...თან ერთად იყვნენ საბჭოთა და ავსტ-...ელი ოფიციალური პირნი.

...ნ. ვ. პოდგორნისა და სხვა სტუმრებს ...ასალმებელი სიტყვით მიმართა გემთ-...აშენის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯ-...ომარე იოზეფ ვინდრაკმა. მან აღნიშ-...ნა, რომ გემთსაშენის კოლექტივის საკმი-...ნ კონტრაქტები საბჭოთა შემკვეთებ-...ან სულ უფრო ფართოვდება.

...საწარმოს დირექტორმა ერნსტ შვარც-...ა ალაპარაკა გემთსაშენის ისტორიაზე, ...რომელიც 100 წელზე მეტი ხნისაა, და ...ნი გაუსვა, რომ ამჟამად სსრ კავშირი ...ემთსაშენის მთავარი შემკვეთია.

...სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-...ზიდიუმის თავმჯდომარეს მიესალმა აგ-...ვე ქვემო ავსტრიის მთავრობის მე-...თაურის მოადგილე რუდოლფ პირში.

...შემდეგ სტუმრები მიიწვიეს საწარმოს ...ამკრეფილნი.

...გემთსაშენის ტერიტორიაზე გაიმართა ...ტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ...სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-...დიუმის თავმჯდომარემ. მან მადლობა გა-...უცხადა გემთსაშენის ხელმძღვანელებს ...ინგენიერებურგში მიწვევისათვის, წარმა-...ტა უსურვა ავსტრიელ გემმშენებ-...ებს და მოუწოდა განამტკიცონ საბჭო-...თ კავშირისა და ავსტრიის ხალხთა მე-...გობრობა.

...ნ. ვ. პოდგორნისა და ავსტრიელ გემთ-...აშენებელთა მეგობრული და გულითადი ...ეტყველება დასასრულს გაიმართა საბჭო-...თ კავშირის მიერ შეკვეთილი ახალი გე-...ის შენებლობის დაწყების ცერემონია. ...�ასით ვენის ტაუში კალენბერგის ...ახე ავსტრიის რესპუბლიკის ფედერა-...ული პრეზიდენტის ფრანც იონასის სა-...ელით საუზმე გაუმართეს სსრ კავშირის ...აღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯ-...ომარეს ნ. ვ. პოდგორნეს.

ვენა, 17 ნოემბერი. (საკდესი). გუ-...ნ ბოფბურგის სასახლის ერთ-ერთ გა-...ართულებულ დარბაზში მიავლენენ ავს-...ია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ...ევრები, რათა მისალმებოდნენ სსრ კავ-...ირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ...ავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

...ელე სიტყვა წარმოთქვა ავსტრია-სა-...ბჭო კავშირის საზოგადოების პრეზი-...დენტმა პროფესორმა ჰუგო გლაზერმა. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ... ...



ამბები ცნობები

ქართული თვითმოქმედება პოლონეთში

ორჯონიკიძე. (საქ. კორ.). ამას წინათ პოლონეთში გაიმართა ვენიავსკის სახელობის თვითმოქმედ შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობა მიიღო ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. აბაშიძე. ქართველთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი მ. ჩიტინაშვილი.

ორჯონიკიძის ანსამბლმა კონცერტები გამართა პოლონეთის რამდენიმე ქალაქში. მას ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ. ფესტივალის დასასრულს საქართველოდან წარგზავნილებს გადასცეს ფესტივალის ბროლის თასი და დიპლომი.

ჩვენი ინტერვიუ •

სალამი ქართველ კოლეგებს

საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იმყოფება პოლონეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, თანამედროვე ინტერიერის შესანიშნავი ოსტატი, პოლონური პლაკატის ფუძემდებელი თადეუშ გრონოვსკი.

პოლონელი მხატვრის ჩამოსვლა დაემთხვა მოსკოვში მისი ნამუშევრების გამოფენას. მოსკოვის შემდეგ თადეუშ გრონოვსკი მეფულით ეწვია თბილისს.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა პოლონელ სტუმარს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და სთხოვა გაეზიარებინა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი.

— საქართველოზე ბევრი რამ მსმენია, — განაცხადა თადეუშ გრონოვსკიმ, — ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას გავეცანი შესანიშნავი ქართველი დიდოსტატის ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას. მე ვიცოდი, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და ძლიერ მსურდა მისი ნახვა. დღეს დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი ეს ინტერესი საფუძვლიანი ყოფილა, რადგან ყველაფერმა, რაც აქ ვნახე, დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

გუშინ ვიმოგზაურეთ ფასანაურისკენ, მოვინახულეთ ანანურის ციხესიმაგრე და ეკლესია, ფეოდალური ხანის ეს ამაყი ძეგლი, ვეწვიეთ საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქს მცხეთას, ფეხი შევდგით შესანიშნავ სვეტიცხოველში და არაგვსა და მტკვარს ჯვარის მიდამოებიდან გადმოხედეთ. დაუვიწყარი და წარმტაცი ხედია. ასეთი ბუნების წიაღში რა გასაკვირველია, რომ კარგი მხატვრები იბადებოდნენ.

...აღფრთოვანებული ვარ ფირუსმანის ნახატებით. მას ვიცნობდი პატარა მონოგრაფიული ხასიათის წიგნით, რომელიც ფრანგულად გამოვიდა ამ რამდენიმე წლის წინათ. ამავე წიგნიდან ვიცნობდი ფირუსმანის რეპროდუქციებს, მაგრამ ამჟამად, როცა ვნახე ორიგინალი, შემიძლია ვთქვა — ეს ფენომენალურია. არც ერთ მხატვარ-პრიმიტივისტს არ მოუხდენია ჩემზე ასე დიდი შთაბეჭდილება.

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის ხაშუალებით ჩემს ქართველ კოლეგებსა და ნიჭიერ ქართველ ხალხს გადავცე გულითადი სურვილები.

• ამჟობლიური ვეიფაჟუები •

თბილისის ზღვაზე. ფოტო ა. გურასაშვილისა.

უცხოელი დიპლომატები სოხუმში

სოხუმი, 18 ნოემბერი. (საქდესის კორ.). სოხუმში იყვნენ კანადის, დანიის, შვეიცის, მოსკოვის საელჩოთა პირველი მდივნები და დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოთა სავაჭრო მრჩევლები.

აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. ო. მარღანია და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

უცხოელი დიპლომატები მიიღო აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. გ. ჩიქოვანმა. სტუმრები ეწვივნენ ოჩამჩირის რაიონის მოქვის საბჭოთა მეურნეობას და გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ტურისტულის მეურნეობას, იყვნენ კურორტ ახალ ათონში, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტში.

პავანის მსოფლიო სპორტიადის მეთერთმეტე ტურში

ყურადღების ცენტრში იდგა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების მატჩი. წარმატება საბჭოთა გროსმაისტერებს ხვდათ 2,5:1,5. სპასსკიმ მოუგო პპრმას, ხოლო ივანოვ-პეტროსიანი, მატანოვიჩ-კორჩნოი და კოლუბაევსკი-მატულოვიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ასეთივე ანგარიშით (2,5:1,5) ამერიკელებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს. აქაც სამი „შეხვედრა დამთავრდა ყაიმით, ფიშერმა კი დაამარცხა პასმანი.

საბჭოთა გროსმაისტერები — მსოფლიოს ჩემპიონები

პავანა, 18 ნოემბერი. (საქდესი). საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა მსოფლიო ოლიმპიადის უკანასკნელისწინა ტურში არგენტინელ მოჭადრაკეებთან 3:1 და უკანასკნელი ტურის შედეგის მიუხედავად 36 ქულით მსოფლიო ჩემპიონის ოქროს თასი მოიპოვა.

ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეებს 31 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვთ.

მოჭადრაკე ქალთა ტურნირი

კიევში დაიწყო XXVI საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის.

პირველ ტურში მინსკელმა გ. არჩაკოვამ დაამარცხა ნ. ვოიცეხი (მოსკოვი), კ. სკეგინამ (მოსკოვის ოლქი) — თ. გოლოვეი (მინსკი). ესტონელ მ. რანიკუსა და ე. რუბცოვას (მოსკოვი) ორთაბრძოლა დამთავრდა ყაიმით. დანარჩენი პარტიები გადადგა.

შესარჩევი შესვედრები

ლონდონის „უიმბლეს“ სტადიონზე ფეხბურთში ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის ნაკრები და უელსის გუნდი. ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მას ხვდა 5:1 (3:1).

ბელგიაში ფოტლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებმა დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი 2:1.

ანგარიშით 2:1 ირლანდიის ფეხბურთელებმა ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში მოუგეს თურქეთის გუნდს.

ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლი

ათი წლის წინ, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიცია პირველად შეუდგა თეთრი წყაროს რაიონის ადრეული ლოთონის ხანის კულტურის ძეგლების შესწავლას, ბედენის ზეგანზე ზღვის დონიდან 1.600-1.800 მ. სიმაღლეზე მიკვლეულ იქნა ხელოვნური წარმოშობის თორმეტიოდე ბორცვი და მათ შორის უდიდესი „გადაჭრილი გორა“. მისი არქეოლოგიური გათხრა ექსპედიციამ წელს იულისში დაიწყო და წარმატებით დასრულა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის წინაღამეს, როცა ბედენზე პირველი თოვლიც მოვიდა.

„გადაჭრილი გორა“ ეკუთვნის კულტურის იმ ძეგლთა რიცხვს, რომლებსაც ყორღანებს, ანუ გორასამარხებს უწოდებენ. ისინი მიწის, ქვის ან კიდევ მათი ნარევის დიდი ფრილებია, გარდაცვლილ პირთა სამარხებს ზემოთ დაწყენული. ბევრ ქვეყანაში ყოფილა ასეთი ჩვეულება და არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი. კარგად ცნობილია ადრინდელი ბრინჯაოს ხანის სამგორისა და ტყვიავის და ცოტა უფრო გვიანდელი თრიალეთის ყორღანები. ბევრმა მათგანმა შემოინახა ქართველი ერის ბრწყინვალე კულტურული წარსულის მაუწყებელი ნაშთები. მათ რიცხვს ახლა „გადაჭრილი გორაც“ მიემატა.

გორა წარმოადგენდა 8 მ. სიმაღლისა და 80 მ. დიამეტრის მიწაყრილს. ის შემოდან ედგა უზარმაზარ ორმოში წინასწარ ამოშენებულ ხის აკლდამას, რომლის იატაკი, კედლები და სახურავი მუხის მორებისაა, ხოლო ცარიელი სივრცე აკლდამასა და დამრეც კედლებიან ორმოს შუა შევსებულია ძალზე ორული წყობით და სუფთა თიხით.

მიტად თავისებურია აკლდამის აღნაგობა. მისი კედლები მოპირკეთებულია ერთმანეთთან მიჯრით მიდგმული ხის სვეტებით, რომლებსაც ნაქანდაკებია იცავდა ძირსა და თავში გადებული წყვილ-წყვილი მორი. სახურავი ბანური ჭერნია, შუაში ოდნავ შემაღლებული. ის აყრდნობოდა ერთი მრავი ორმოს ნაპირებს და მეორე მრავი ორ დედაბოძს ზემოთ გადებულ წყვილ კეხის ხეს. მთელ სახურავზე და იატაკზე დაფენილი ყოფილა დიდი ოსტატობით დაწნული ჭილობი.

დროთა განმავლობაში სახურავის დიდი ნაწილი ჩანგრეულა, ზოგიერთი კედლის სვეტები მიეხარ ნაკეცულა. შედარებით უფრო ადვილად მოაღწია ჩვენს დრომდე იატაკმა, დედაბოძმა და სახურავის აღმოსავლეთმა ნაწილმა. ჩანგრევის შედეგად აკლდამა მიწითა და ხის მასალით ავსებულა, ხოლო შიგ მდებარე საგნების უმრავლესობა დამტვრეულა. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანის თავდაპირველი მოყვანილობა კარგად იცნობა, და მათ საფუძველზე ადვილად შეიძლება აღწერილი ძეგლის თარიღის დადგენაც.

ეს არის ძველი წელთაღრიცხვის II ათასეულის დამდეგის ანდო დრო, დაახლოებით XIX საუკუნე.

უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ბედენის აკლდამის არქიტექტურას. შედარებით ასე კარგად დაცულ ამ ტიპის ძეგლს პირველად ვხვდებით მთელ კავკასიაში. ადრეული ბრინჯაოს ხანის ქართული ხით ხუროობის ერთადერთი ნიმუში აქამდე ოო. ნორჩაძის მიერ სამგორის გორასამარხში აღმოჩენილი მუხის ჯარგვალის პატარა ნაშთი. ბედენის ახალი მონაპოვარი მოწმობს, რომ იმ შორეულ დროს ჩვენს წინაპრებს, ჯარგვალთან ერთად, კარგად სცოდნიათ სვეტებიანი დარბაზების მშენებლობაც.



სურათებზე: (ზევით, მარცხნიდან) ბედენის აკლდამის იატაკისა და მასზე აღმოჩენილი ნაშთების საერთო ხედი, ბრინჯაოს სატები, (ქვემოთ) აკლდამაში აღმოჩენილი ნივთები: ოქროს ქინძისთავი, ობხიდიანის ისრის წვერი, ბრინჯაოს ბრტყელი ცული.

აკლდამაში დაკრძალული ყოფილა სამი ადამიანი. ორი მათგანის კარგად დაცულ, მძინარესავით ხელ-ფეხმოკეცილ ჩონჩხებს ეკავა მოკრძალებული ადგილი ჩრდილოაღმოსავლეთ კუთხესთან. ორივეს ქვეშ ქერა ეფინა. აღმოჩნდა მათი ტანსაცმლის ნაფლეთებიც — შალის, თეთრი ტილოსა და შავ-ზოლიანი შინდისფერი ნაზი ქსოვილის ნაშთები, ავრეთვე ვერცხლისა და პასტის ცოტაოდენი სამკაულები. ყველა გარემოება მოწმობს, რომ აკლდამა ამ ორისათვის არ აუგია. ისინი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ დაქვემდებარებული პირნი, ეგებ მსახურნიც შესამსახ, რომლის ჩონჩხის მცირე ნატეხები უსეწრიგოდ ეწყო მრავალრიცხოვანი ნივთებით საფსე აკლდამის შუა ნაწილში. ჩონჩხის ასეთი განადგურება და არევ-დარევა შეიძლებოდა მომზდარიყო აკლდამის სახურავის ხვრეების ჩრეცესში, მაგრამ ამას მიმატებია რომელიღაც მძარცველის სელი, რომლის კვალი არქეოლოგიური გათხრის პირველსავე დღეს გამოჩნდა და ბოლომდე არ დაკარგულა. მძარცველმა, ალბათ, თან წაიღო ძვირფასს ლითონთა ჭურჭლეული, საჭურველი და სამკაული, მაგრამ დატოვა მისთვის უქმი, მეცნიერებისათვის კი ფასდაუდებელი საგნები.

აკლდამაში ჩამტვრეულა დიდი ოთხთვლიანი ურემი. მსხვილმორგვებიანი მისი თვლების სიმაღლე მეტრნახევარს სჭარბობს. ზესადგარი შემკობილი ჭონია ნაირ-ნაირი სახეებით. მისი გრძელი რვილი ანუ ხელნა გათვალისწინებული ყოფილა ულელი ხარის, ან ყვავირის შესაბმელად. ეს მესამე ურემის აღმოჩენილი საქართველოს ბრინჯაოს ხანის სამარხებში. ორი მათგანი ნაპოვნია პროფ. ბ. კუფტინის და პროფ. ო. ჯაფარიძის მიერ, თეთრი წყაროს მეზობელ თრიალეთში. ამგვარი საზიდი საშუალებები უეჭველად მოწმობს სათანადოდ გამართული გზების არსებობას ამ მთიან მხარეში.

ურმის ნატეხებთან იყო ლამაზი ორნამენტით და ჩოგნისებური რიგულებით დამშვენებული ხის საკაცე და ასევე მოვარაყებული სარეცელის ნაშთები. ამ მოწყობილობით ჩაუსვენებიათ აკლდამაში მთავარი მიცვალებული და, როგორც ჩანს, ურემზე დაკრძალავთ ის. დაკრძალვის ასეთი წესი ჰქონიათ სვიეთსაც. მაგრამ ისინი ურემზე დგამდნენ დამწყარი ნეშტის ფერფლით სავსე ჭურჭელს მაშინ, როცა ჩვენში მიცვალებულის გვამი იდებოდა ურემზე.

ბედენელი მიცვალებულისათვის, ურემთან ერთად, ბევრი სხვა იარაღი, სამკაული, ჭურჭელი და სურსათ-სანოვაგეც ჩაუყოლებიათ. აკლდამაში შემნილი განსაკუთრებული უკაერო რეჟიმის წყალობით ჩვენს დრომდე მოაღწია ყველაზე ადვილად ზოლადი ისეთმა მასალებმაც კი, როგორიც არის ლომის და პუტის მარცვლები, თხილის და წაბლის ნაყოფი, კურკოვანი ხილის ნაშთები, ჭაობის ბალახისაგან დაწნული პარკები, სელის და შალის ქსოვილების ნაფლეთები, თელის ან ცაცხვის ლაფნის ჭიღობი, ხის ჭურჭელი და ორნამენტული ნაწილები. რა თქმა უნდა, კარგად დაცულა აგრეთვე უფრო მყარ ნივთიერებათა ნაგები. მთელ კავკასიაში არ გვეგულება არც ერთი დროის სხვა სამარხი, რომელშიც თავმოყრილი ენახოთ ასეთი სიმრავლე პროდუქტებისა და საგნებისა.

ათეულზე მეტი ხის სამფეხა ჯამი და ტაბაკი ჩაუდგამთ აკლდამაში. ყველა მათგანი დამშვენებულია ხაზოვან-ტალღისებრი ორნამენტით და შვეული ან განივი ყურებით, რომელთაგან ზოგში დატანებულია ბაწრის გასაყრელი წვრილი ნახვრეტები. ეს მონაპოვარი ბევრად გვაძლევს საშუალებას ასე ფართოდ გავიგოთ ბრინჯაოს ხანის ქართველ ტომთა ხის ჭურჭელი.

ჯერ კიდევ არ ვიცით, რა დანიშნულების საგნები შეკოწიწდება აკლდამაში აღმოჩენილის ხის ბევრი ნატეხისაგან, მაგრამ ის კი ჩანს, რომ ყველა მათგანი საგულდაგულოდ დამუშავებული და შემკობილი ყოფილა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ხისაგან გამოკვეთილი ადამიანის თავის შესწავლას; ის შეიძლება იყოს რომელიმე კერპის, ან თვით მიცვალებულის პორტრეტული გამოსახულება. ასეთსავე ინტერესს იწვევს ხის მეორე უნიკალური საგანი, რომელსაც ეწესებიდიციის წვერებმა, არც თუ უსაფუძვლოდ, — „მუსიკალური საკრავი“ შეარქვეს.

თხის ბევრი ჭურჭელი ჩაუწყვიათ აკლდამაში. მარტო ერთი წაქცეული ურმის თვალი ფარავდა 26 პატარა ქოთახს, ჯამსა და ტოლჩას. მის გარეთაც უამრავი დიდი და მცირე ჭურჭლის ნატეხები იყო მიმოფანტული. ნაირ-ნაირი ორნამენტი ამშვენებს უმეტესობას. ერთი მათგანი შეკი საღებავითაა მოხატული, სხვები რელიეფურ ზოლებს, მუტუმე ღარებს, ფოსოებს და კოპებს ატარებს. სადა, მაგრამ ფრიად მოხდენილი ჭურჭელიც ბევრია. დღემდე უცნობი ელფერი — ვერცხლის ბრწყინვალება გადაკრავს ზოგიერთ მათგანს.

ობსიდიანის (ვულკანური მინის) ისრის წვერებიც ბევრი აღმოჩნდა აკლდამაში. მნახველს აოცებს მათი დამუშავების თითქმის უბადლო ტექნიკა. მხოლოდ ბრინჯაოს ხანის ეგვიპტური კაჟის დანები შეიძლება შეადაროთ მათ.

ლითონის ნივთებიდან აღმოჩნდა ამობურცული კოპებით შემკული ბრინჯაოს ფირფიტები, 2 ქინძისთავი, ბრტყელი „ცული“ და 1 სატეხი, ვერცხლის ჭურჭლის კონუსური ძირი, ლილვებიანი რიგულების გარსაკრავის ნატეხები და როკებიან ჯოხზე წამოცმული 8 მილაკი, აგრეთვე ოქროს დიდი, მასიური ქინძისთავი, ფაქიზად შემკობილი წვრილი გრეხილისებური არშიით და მის შიგნით გაკეთებული ბალთა. ეს ბალთა ბევრ ადგილზე ოქროს ფირფიტაა ამოვსებული. ეს ფირფიტა ოქროს ბალთებზე